სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 79

ქ. თბილისი „23“ 03 2020წ.

საქართველოში ახალი კორონა ვირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის N139 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ დებულების" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოში ახალი კორონა ვირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, დაევალოს სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ (შემდგომში - ცენტრი):

ა) სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს:

ა.ა) აწარმოონ მუდმივი დაკვირვება სამსახურში გამოცხადებული, მათ დაქვემდებარებაში მყოფი, დასაქმებულების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;

ა.ბ) ცენტრში დასაქმებულებისთვის, ახალო კორონა ვირუსის დამახასიათებელი სიმპტომების (ხველება, ტემპერატურა) აღმოჩენის შემთხვევაში:

1) დაუყოვნებლივ შეატყობინონ აღნიშნული გარემოების შესახებ ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს (შიდა ნომერი - 1700; 1706; 1702; მობილური ტელ. 591 32 55 51; 595 05 04 16);

2) დროებით დაითხოვონ დასაქმებული სამსახურიდან;

3) დაუყოვნებლივ აცნობონ ცენტრის გენერალურ დირექტორს;

ა.გ) ყოველდღიურად გაანაწილონ დავალებები დისტანციურად მომუშავე დასაქმებულებისთვის და განსაზღვრონ დავალების შესრულების ვადები;

ა.დ) პერსონალურად, ვიდეო-ზარის მეშვეობით განახორციელონ დაქვემდებარებაში მყოფ დასაქმებულებთან კომუნიკაცია;

ა.ე) საჭიროების შემთხვევაში, ჩაატარონ ონლაინ თათბირი;

ა.ვ) უზრუნველყონ დაქვემდებარებაში მყოფი დასაქმებულების ჩართვა „WhatsApp" ჩათში.

ა.ზ) გასცენ შესაბამისი რეკომენდაცია, დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე, არასამუშაო დროს მაქსიმალურ იზოლაციაში ყოფნის და ქალაქგარეთ გადაადგილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებისგან თავის შეკავების შესახებ;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს (ზ. მეწთეშაშვილი), სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებთან ერთად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, დისტანციურად მომუშავე ან თვითიზოლაციაში მყოფ დასაქმებულებთან ვიდეო ზარის განხორციელება, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების და დავალებების ინტენსივობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით;

გ) ცენტრში დასაქმებულ ყველა პირს, სამუშაო დღის განმავლობაში, „WhatsApp" ჩათში ლოკაციის დაფიქსირება (შესაბამისი რუკის გაზიარებით).

2. ბრძანების „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში დასაქმებულს დაევალოს სატელეფონო შეტყობინების განხორციელება ადგილმდებარეობის ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოების შეტყობინების მიზნით.

3. ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ასევე დაევალოთ ცენტრის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს **შოთა ყიფიანს.**

5. ბრძანება გაეცნოს ცენტრის ყველა თანამშრომელს და ცენტრის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: გენერალური დირექტორის სიტყვიერი დავალება.

გენერალური დირექტორი **ზურაბ აზარაშვილი**